ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3804879

ნომერი: AR1573587

თარიღი : 29.01.2018

გაცემის თარიღი : 05.02.2018

გაცნობის თარიღი : 05.02.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხიზაბავრის ქუჩა N24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ხვინგია პ/ნ 60002003913
- შარტავას ქ. #38 ბინა.#24

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1573587 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.11.12.019.167. 01.11.12.019.023) გაერთიანებასა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან მოცემული და მიმდებარე ტერიტორია ძირითადად გაუნაშენიანებელია, რომ არ მოხდეს მისი ქაოტური სამშენებელოდ განვითარება, მიზანშეწონილია საკადასტრო ერთეულების სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში, რომელიც დაადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის განხორციელების მიზნით, თავდაპირველად საჭიროა მომზადდეს ესკიზი და განაცხადი ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.